პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№70 (5100)

1974 წ. 9 აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გუნდური პირველობა და საპრიზო ადგილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტის დამლევს ტამბოვში ჩატარდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა პირად-გუნდური პირველობა. წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გუნდური I ადგილი დაიკავეს. ამ წარმატებისთვის ჩვენი რესპუბლიკის შვიდი მოჭიდავე შეყვანილია „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში.

საქართველოს წარმომადგენელთაგან ჩემპიონობა მოიპოვეს ტ. ცინცაძემ (70 კგ), დ. ხაბულიანმა (80 კგ) და თ. ბიდოევმა (მძიმე).

II ადგილები ხვდათ ნ. მელიქიძეს და ე. დამადაევს, III — დ. ლარიბაშვილს, ზ. გელაშვილს, ზ. შავლიაშვილს და ი. ლაზრიშვილს.

ო. ჩხაიძე,
სპორტის ოსტატი.

## საქართველოს პროფსაბჭოში

# სოციალისტური შეჯიბრება წარმატების საწინდარია

1973 წელს პროფკავშირული სპორტული საზოგადოებების წევრთა რიცხვი 1500 კაცით გაიზარდა; გეგმის ზევით მომზადდა 45 სპორტის ოსტატი, 186 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 698 პირველთანრიგოსანი და მასობრივი თანრიგების 14016 სპორტსმენი; მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარა 50425 ფიზკულტურელმა, რაც ერთნახევარჯერ აღემატება გეგმით გათვალისწინებულს, — აღნიშნულია „ნებაყოფლობით პროფკავშირულ სპორტსაზოგადოებებსა და პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს შორის 1973 წელს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ", საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში.

პრეზიდიუმმა პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება „ბურევესტნიკის" რესპუბლიკურ საბჭოს მიაკუთვნა. სტუდენტთა მრავალათასიან კოლექტივს პირველად გადაეცემა საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, საპატიო სიგელი და 200 მანეთი ფულადი პრემია.

მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად წილად ხვდათ „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს და „სპარტაკის" რესპუბლიკურ საბჭოს, რომლებიც დაჯილდოვდნენ საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელებითა და ვიმპელებით.

პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს შორის გაიმარჯვა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა კავშირის კოლექტივმა. II ადგილი ხვდა ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის საგზაო საბჭოს, III — სამდინარო და საზღვაო მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

ამავე დადგენილებით ნ. ასათიანი („ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), თ. კაპანაძე („ლოკომოტივი"), ა. კორინთელი („სპარტაკი"), ე. ლავთაძე (საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე), ა. გობიანიძე (ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირი) და გ. უმანქოშვილი (სამდინარო და საზღვაო მუშაკთა პროფკავშირი) დაჯილდოვდებიან საქართველოს პროფსაბჭოს საპატიო სიგელებით.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ქვანახშირისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა პროფსაბჭოს საერთოდ არ წარუდგინეს 1973 წლის მასალები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

## [illegible]

მინსკი, 6 აპრილი. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრები გუნდების ტრადიციული, რიგით მე-13 მატჩის მეორე დღეს კვლავ გამოიჩინა თავი ლენინგრადელმა თ. შელოფასტოვამ. მან 200 მ თავისუფალი სტილით 2 წუთსა და 9,7 წამში გაცურა, რაც მისსავე საკავშირო რეკორდზე 0,7 წამით უკეთესია.

მატჩი დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 196:148.

## [illegible]

ხარკოველმა IX კლასის მოსწავლემ ნ. პოპოვამ მოსკოვში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე ცურვაში გამართულ ტრადიციულ ტურნირში 400 მეტრზე შეჯიბრებაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა. მისი შედეგია 5.08,8. ნატაშამ ჩამოიტოვა ამერიკელი მოცურავეები ლ. ჰოუგანი და ქ. შეტლი, რომლებმაც II და III ადგილები დაიკავეს.

* * *

სურათზე: სარეკორდო გაცურვის შემდეგ. მარცხნიდან — ქ. შეტლი, ნ. პოპოვა და ლ. ჰოუგანი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საქდესი).

# „მოხდენილობა და ბრწყინვალება", „მოძრაობის ნამდვილი პოეზია", „დიდებული ტანმოვარჯიშე", — ამას ინგლისური გაზეთები დრონოვაზე წერენ

ლონდონი, 7 აპრილი. სახელგანთქმულ „უემბლის" სტადიონზე გამართული საერთაშორისო ტურნირი ბრწყინვალედ მოიგო თბილისელმა ტანმოვარჯიშემ ნ. დრონოვამ — 37,45 ქულა. II ადგილზეა ს. შეფერი (გდრ) — 36,90, ხოლო III — უნგრელი ჟ. ნაგიი — 36,70.

„მოხდენილობა და ბრწყინვალება", — ასეთ კომენტარს უკეთებს თბილისელი სპორტსმენის გამოსვლას ლონდონის გაზეთი „ივნინგ სტანდარდი". გაზეთი დრონოვას თავისუფალ ვარჯიშს „მოძრაობის ნამდვილ პოეზიას" უწოდებს და წერს, რომ „გასაკვირი როდია, როცა მეგობრები ნინას „ტანვარჯიშის მოცარტს" უწოდებენ".

„სანდი ტაიმსს" დრონოვა „კიდევ ერთ დიდებულ ტანმოვარჯიშედ" მიაჩნია. გაზეთი აღნიშნავს, რომ თბილისელი სპორტსმენის ოსტატობა შეიძლება შეადარო მხოლოდ ისეთი საბჭოთა ტანმოვარჯიშეების დონეს, როგორიც არიან ლ. ტურიშჩევა და ო. კორბუტი.

## [illegible]

**ზუგდიდი**

მოსწავლე ველოსიპედისტთა ტრადიციულ ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო საშუალო სკოლების 15 კოლექტივმა. სამგზავრო ველოსიპედებით ასპარეზობა რუხის საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა მოიგეს. პირად ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ამავე სკოლის მოსწავლე თ. ბულია.

ბ. ალშიბაია.

[illegible]

მოსკოვი. ცნობილ მოჭადრაკეებთან გამართულ ტრადიციულ ტურნირში საბჭოთა კავშირის ექვსი პიონერთა სასახლის ნორჩი მოთამაშეები ჩაებნენ.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ლენინგრადის (კაპიტანი იყო დიდოსტატი მ. ტაიმანოვი), რიგის (დიდოსტატი მ. ტალი), ბაქოს (საერთაშორისო ოსტატი ვ. ბაგიროვი), ჩელიაბინსკის (დიდოსტატი ლ. პოლუგაევსკი), ჩერნოვცის (დიდოსტატი გ. კუზმინი), მოსკოვის (დიდოსტატი ი. ავერბახი) გუნდები.

* * *

სურათზე: დიდოსტატი გ. კუზმინი თამაშობს მოსკოვის გუნდთან.

ა. იაკოვლევის ფოტო (საქდესი).





# კვლავ მოიგეს!

ვაშინგტონი, 6 აპრილი. თავისუფალი სტილის საბჭოთა მოჭიდავეების ნაკრებმა ამერიკული ტურნეს ბოლო მატჩი აქ გამართა. სტუმართა შეხვედრამ მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ამჯერადაც დიდი ინტერესი გამოიწვია და ისევ საბჭოთა ათლეტების გამარჯვებით დამთავრდა „ჩვეული" ანგარიშით — 9:1.

წმინდა გამარჯვებები მოიპოვეს მახაჩყალელმა ვ. იუმინმა, თბილისელმა ლ. თედიაშვილმა, კრასნოიარსკელმა ი. იარიგინმა და ორჯონიკიძელმა ს. ანდიევმა.

ქულებით დამაჯერებლად სძლია მეტოქეს საბჭოთა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა, ბაქოელმა ტ. ფაშაევმა.

ქულებით გაიმარჯვეს: მახაჩყალელებმა ზ. აბდულბეკოვმა, რ. აშურალიევმა და მინსკელმა ვ. სიულჟინმა.

უაღრესად მწვავე და საინტერესო გამოდგა მსოფლიო ჩემპიონ ნ. ნასრულაევისა (მახაჩყალა) და 1973 წლის მსოფლიო თასის გათამაშებაში გამარჯვებული ლ. კიზერის შერკინება. საბჭოთა მოჭიდავემ ქულებით აჯობა მეტოქეს.

ერთადერთი ქულა თავის გუნდს მოუტანა ამერიკელმა ჯიმი კარმა, რომელმაც ქულებით დაამარცხა მოსკოველი რ. დმიტრიევი.

ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში მასპინძელი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან გამართული ექვსივე შეხვედრა მოიგო.




# ჯერჯერობით ყველაფერი „გეგმით“ მიდის

ჰელსინკი, 6 აპრილი. დღეს მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩი პოლონეთისა და შვეციის ჰოკეისტთა შორის გაიმართა. ალბათ ყველა დარწმუნებული იყო წინა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის იოლ გამარჯვებაში, მაგრამ პოლონელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმოხვეჭილ მეტოქეს. ისინი განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ პირველ და მესამე პერიოდებში, თუმცა ანგარიში მაინც შვედებმა (ვიკბერგი) გახსნეს. მაგრამ მალე პოლონელმა გურალჩიკმა თანაფარდობა აღადგინა. პირველ პერიოდში ანგარიში არ შეცვლილა. შვედებს საბოლოო გამარჯვება მეორე პერიოდში ოლბერგის, ლაბრაატენისა და ლ. ნილსონის სამმა შაიბამ მოუტანა. მესამე პერიოდში ბრძოლა დაძაბული იყო და ფრედ დამთავრდა — 0:0. მატჩის ანგარიშია 4:1.

საღამოს შეხვედრას მაყურებლები დიდი ინტერესით ელოდნენ. მათი ჰოკეისტები პირველად გამოვიდნენ ყინულზე და გდრ-ის სპორტსმენებს შეხვდნენ. ანგარიში პირველობის დებიუტანტებმა, გდრ-ის წარმომადგენლებმა გახსნეს. ეს მოხდა მე-8 წუთზე, როცა ზიმონმა ისარგებლა ფინელთა შეცდომით და მეკარესთან ერთი ერთზე დარჩა. მაგრამ დებიუტანტების სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა: ზუსტად 31 წამის შემდეგ ფინელმა აჰოკაინენმა გაათანაბრა ანგარიში. პირველი პერიოდის ბოლო წუთზე მანვე გამოიყენა რიცხობრივი უპირატესობა.

მეორე პერიოდის მე-14 წუთზე მასპინძელმა ლინონმაამ ანგარიში გაზარდა. ეს ერთადერთი შაიბა იყო მეორე პერიოდში. სამაგიეროდ, მესამე პერიოდის დასაწყისში ი. პელტონენმა ზედიზედ ორი შაიბა გაიტანა გერმანელთა კარში, მაგრამ აქ ისინი უფრო გააქტიურდნენ: ჯერ ნიკელმა (მე-8 წუთზე), შემდეგ კი პატაშინსკიმ (მე-14-ზე) ანგარიშში სხვაობა კვლავ ორამდე შეამცირეს. ერთი წუთის შემდეგ აჰოკაინენმა მეექვსე შაიბა გაიტანა მეტოქის კარში. მანვე მე-17 წუთზე, როცა გერმანელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, ლამაზი გარღვევით დააგვირგვინა ფინელთა გამარჯვება — 7:3.

ჰელსინკი, 7 აპრილი. დღესაც ორი მატჩი გაიმართა. პირველში ერთმანეთს შეხვდნენ საპრიზო ადგილებზე გასვლის პრეტენდენტები — შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები. მე-7 წუთზე სიოდერსტრიომმა გახსნა ანგარიში. პერიოდის დამთავრებას სულ 41 წამი აკლდა, როცა ჰლინკამ მეტოქის კართან შექმნილი არეულობით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

მეორე პერიოდიც ძალიან დაძაბული იყო. მე-15 წუთზე ორი შაიბა გავიდა: ჯერ შტიასნიმ ლამაზი კომბინაცია დააგვირგვინა, შემდეგ კი შვედმა ლაბრაატენმა კვლავ აღადგინა თანაფარდობა.

მესამე პერიოდიც მძაფრად წარიმართა, მაგრამ გოლი არა და არ ჩანდა. მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მე-19 წუთზე ჰლინკამ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

საღამოს ფინელები მსოფლიო ჩემპიონებს — საბჭოთა ჰოკეისტებს მასპინძლობდნენ. პირველ პერიოდში ერთადერთი შაიბა გავიდა: მე-12 წუთზე ხარლამოვმა ანგარიში გახსნა.

მეორე პერიოდის პირველ ხუთ წუთში მიხაილოვმა ზედიზედ ორი შაიბა გაიტანა ლეჰიანენის კარში. მე-3 წუთზე [illegible] შაიბა გაიტანა. მაგრამ 2 წუთის შემდეგ საბჭოთა [illegible] სამნი დარჩნენ ხუთი ფინელის წინააღმდეგ და ეს ლეპიამ კარგად გამოიყენა. მე-17 წუთზე საბჭოთა მცველმა გუსევმა ხუთამდე გაზარდა ანგარიში. თამაში განახლდა თუ არა, შაიბა საბჭოთა ნაკრების დებიუტანტმა კაპუსტინმა მიიღო და ლამაზი გოლი გაიტანა.

მესამე პერიოდში იმავე კაპუსტინმა (მე-11 წუთზე) მატჩის ბოლო შაიბა გაიტანა. საბჭოთა ჰოკეისტებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად — 7:1.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 2 | 2 | 0 | 0 | 12:1 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 2 | 2 | 0 | 0 | 11:2 | 4 |
| შვეცია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:4 | 2 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 8:10 | 2 |
| გდრ | 2 | 0 | 0 | 2 | 3:12 | 0 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:12 | 0 |

# ფორმალური ჯგუფები და საძებარი სპორტსმენები

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებას წლეულს ალმა-ათა უმასპინძლებს. ამჯერად ყველა რესპუბლიკას, მოსკოვსა და ლენინგრადს უფლება აქვთ საასპარეზოდ 64 მოზარდით დაკომპლექტებული კოლექტივები გამოიყვანონ (კიევში წინა სპარტაკიადაში გუნდების შემადგენლობა 55 მძლეოსნით კანისაზღვრებოდა.)

რამ განაპირობა მონაწილეთა რიცხვის ასეთი ზრდა? კიევში ყოველ მძლეოსანს უფლება ჰქონდა ესტაფეტის გარდა ორ სახეობაში ესაკარეზა, ალმა-ათაში კი ასე არ იქნება — ამჯერად ყველამ ერთ სახეობაში უნდა სცადოს ძალა ესტაფეტის გარდა. ეს გადაწყვეტილება სსრ კავშირში მძლეოსნობის შემდგომი განვითარებისთვის ზრუნვითაა ნაკარნახევი.

64-კაციანი კოლექტივის დაკომპლექტება ძნელი არაა ბევრი რესპუბლიკისთვის, განსაკუთრებით მათთვის, სადაც მოსახლეობა გაცილებით მეტია და მოსწავლეებში მძლეოსნობა სათანადოდაა დანერგილი. იმ რესპუბლიკებს კი, სადაც მოსახლეობა უფრო ნაკლებია, მათ შორის საქართველოსაც, ასეთი გუნდების დაკომპლექტება უფრო გაუჭირდებათ. მით უმეტეს, ჩვენში მოსწავლეთა მძლეოსნობა სულ უკან და უკან მიდის.

ალმა-ათისთვის მძლეოსანთა გუნდები მეორეთანრიგოსნებით მაინც უნდა დაკომპლექტდეს (ჩათვლაში ყველა მაჩვენებლები შევა). ეს თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში განათლების სამინისტროს 400 ჯგუფი მუშაობს. თითო ჯგუფმა ნაკრებს თითო სპორტსმენიც რომ მისცეს, ჩემპიონობისთვის ბრძოლას შევძლებთ.

სამწუხაროდ, ჯგუფების უმეტესობა ან ფორმალურად არსებობს, ან მათი შრომისნაყოფიერება მეტად დაბალია. ეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში გამართულმა შეჯიბრებამაც დაადასტურა.

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მძლეოსნობის ჯგუფები მეტნაკლები რაოდენობით რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონშია, საასპარეზოდ კი მხოლოდ 24 ოლქის, ქალაქისა და რაიონის მძლეოსნები გამოიძახეს. რატომ? ცხადია, არც შეჯიბრების ჩამტარებლებს აქვთ იმედი, რომ სხვა რაიონებსა და ქალაქებში მოსწავლეთა შორის მძლეოსნობის განვითარებისთვის რამე კეთდება.

თბილისში სარბიელზე გამოვიდნენ I ჯგუფის კოლექტივები — აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისისა და თბილისის სპორტსკოლა-ინტერნატის წარმომადგენლები, აგრეთვე, II ჯგუფის გუნდების — რუსთავის, ფოთის, მახარაძის, ხაშურის, ახალციხის, ახმეტის, ონის, გარდაბნის, გორის, ზუგდიდის, სამტრედიის, საგარეჯოს, თელავის, დუშეთის, ჩოხატაურის, თეთრი წყაროს და წყალტუბოს მძლეოსნები. ლენტეხისა და ამბროლაურის სპორტსმენები საასპარეზოდ არ ჩამოსულან.

აქვე ვიტყვით: წალკასა და ბოგდანოვკაში ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი მოსწავლე მძლეოსნები ჰყავთ (ეს ამას წინათ კრონში „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირველობამაც დაადასტურა), მაგრამ ისინი ამჯერად რატომღაც არავის მოუწვევია. ვფიქრობთ, ამ რაიონებში მძლეოსნობის განვითარებას ხელი უფრო მეტად უნდა შევუწყოთ.

რა გვიჩვენა შეჯიბრებამ? მეორე ჯგუფის ზოგიერთმა გუნდმა უფრო მეტი ქულა მოაგროვა, ვიდრე პირველი ჯგუფის კოლექტივმა. ამის საილუსტრაციოდ შორს წასვლა როდი დაგვჭირდება. I ჯგუფის კოლექტივებს შორის ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. თბილისის ნაკრები — 18302 ქულა, 2. სპორტსკოლა-ინტერნატი — 17552, 3. აფხაზეთი — 1142, 4. ქუთაისი — 1141, 5. სამხრეთ ოსეთი — 1101, 6. აჭარა — 573. II ჯგუფი: 1. მახარაძის რაიონი — 8652 ქულა, 2. ახმეტის რაიონი— 6604, 3. ონის რაიონი — 6350, 4. ფოთი — 1108, 5. სამტრედიის რაიონი — 669, 6. დუშეთის რაიონი — 593, 7. თეთრი წყაროს რაიონი — 559.

როგორც ვხედავთ, აჭარის ნაკრებს ყველამ აჯობა, თეთრი წყაროს რაიონი კი მას — ავტონომიურ რესპუბლიკას — მხოლოდ 14 ქულით ჩამორჩა. აფხაზეთში, ქუთაისში, სამხრეთ ოსეთში, აჭარაში მომუშავე მწვრთნელებისთვის სამარცხვინო უნდა იყოს, რომ მათს გუნდებს მახარაძის, ახმეტის, ონის კოლექტივებმა გაუსწრეს. მართალია, ონის გუნდს ის 6350 ქულა ერთმა სპორტსმენმა — ინტერნატის მოსწავლე გ. ბერიშვილმა ათჭიდში გამარჯვებით მოუპოვა, მაგრამ ფაქტი მაინც საყურადღებოა.

ალმა-ათაში 1957-58 წლებში დაბადებულნი იასპარეზებენ. თბილისშიც სწორედ ამ ასაკის მძლეოსნები ცდიდნენ ძალას. სტარტზე 355 მონაწილე გამოვიდა, მათგან ორმა პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა, 61 მძლეოსანმა — მეორე, ხოლო 140-მა — მესამე თანრიგისა.

პირველ შეჯიბრებაში 63 პირველი და მეორე თანრიგების შედეგი თითქოს ცუდი მოსავალი არ უნდა იყოს; მაგრამ ტექნიკური შედეგები მოწმობს, რომ პროგრამის 36 სახეობიდან 14-ში გამარჯვებულნი III თანრიგის შედეგებს დასჯერდნენ, მაშასადამე, ამ 14 სახეობაში მეორეთანრიგოსნები საძებარი გვყავს.

რესპუბლიკის ნაკრების ხელმძღვანელობას უჭირს გოგონათა ესტაფეტისთვის გუნდის დაკომპლექტება. ასეთივე მდგომარეობაა სიგრძეზე და სიმაღლეზე მხტომელ, 400, 800 და 1500 მეტრზე მორბენალ, ბადროს მტყორცნელ გოგონათა, 3000 და 5000 მეტრზე მორბენალ, 110 მეტრზე თარჯმორბენალ ჭაბუკთა მომზადებაში.

ერთ-ერთი, ვინც ამ შეჯიბრებაში ქებას იმსახურებს, თბილისის 156-ე სკოლის მოსწავლე დ. წოწკოლაურია. 16 წლის ჭაბუკმა ურო 58,68 მეტრზე ტყორცნა და პირველად შეასრულა მოზრდილთა პირველი თანრიგის ნორმატივი.

მაისში რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ერთხელ კიდევ შემოწმდება საკავშირო სპარტაკიადისთვის საქართველოს მოსწავლეთა მზადყოფნა. აი, მაშინ გაირკვევა რა დასკვნებს გააკეთებენ მწვრთნელები საგაზაფხულო სტარტის შედეგებიდან, როგორ იმუშავებენ, რომ მოსწავლეთა წინა საკავშირო სპარტაკიადაში მძლეოსნობაში მოპოვებული III ადგილი შეინარჩუნონ. ამ ადგილის შესანარჩუნებლად გუნდის მხოლოდ მეორეთანრიგოსნებით დაკომპლექტება უკმარი იქნება. პირველთანრიგოსანი კი რესპუბლიკის ნაკრებში სადღეისოდ მხოლოდ ორი გვყავს — წოწკოლაური და თბილისელი სპრინტერი ე. ხახვიაშვილი.

რაკი სიტყვა სპრინტერებზე ჩამოვარდა, ვიტყვით, რომ ჭაბუკთა შორის 100 მეტრზე რბენაში პირველობისთვის 50 მოსწავლე ასპარეზობდა. II თანრიგის შედეგს კი მხოლოდ 7 მორბენალი შესწვდა.

ო. გელაშვილი.

* * *

**ტექნიკური შედეგები** (დავასახელებთ მხოლოდ გამარჯვებულებს, ვინაიდან ზოგიერთ სახეობაში 3-4 მონაწილე გამოდიოდა).

**გოგონები. რბენა. 100 მ.** ნ. ლოლაძე — 12,8, **200 მ.** თ. პროსკუდინა — 27,5, **400 მ.** ე. კლოკარი (სამივე — თბილისი) — 1.01,5, **800 მ.** ი. რიჟოვა — 2.26,8, **1500 მ.** ი. სტროგეცკაია — 5.14,5. **100 მ. თარჯრბენი,** ი. დენისენკო (სამივე — თბილისი, პირადი) — 16,3. **სიმაღლეზე ხტომა.** მ. კაკაბაძე (თბილისი) — 145. **სიგრძეზე ხტომა.** ო. ხუბუტია (აფხაზეთი) — 537. **ბადროს ტყორცნა.** დ. ტუჩაშვილი — 36,76. **შუბის ტყორცნა.** გ. მირზოიანი — 46,90, **ბირთვის კვრა.** ე. ტულუში (სამივე — თბილისი) — 12 მ. **ხუთჭიდი.** ტ. სემიონოვა (აფხაზეთი) — 2869 ქულა.

**ჭაბუკები. რბენა. 100 მ.** ვ. ხახვიაშვილი (თბილისი) — 11,0, **200 მ.** მ. კიშინსკი (მახარაძე) — 23,4, **400 მ.** მ. კერძევაძე — 51,7, **800 მ.** ა. ნეკრასოვი — 2.01,3, **1500 მ.** ვ. ფიოდოროვი — 4.14,0, **3000 მ.** ვ. მანაევი (ყველა — თბილისი) — 9.35,3, **5000 მ.** გ. ყაზაროვი — 17.29,4. **თარჯრბენი. 110 მ.** ა. ახვლედიანი (ორივე — თბილისი, პირადი) — 17,7, **400 მ.** ა. უშაკოვი (თბილისი) — 59,9. **2000 მ წინაღობებით.** რ. ხაჩატურიანი (აჭარა) — 6.59,8. **ესტაფეტა. 4×100 მ.** თბილისი — 43,9 **4×400 მ.** — თბილისი — 3.30,5. **10 კმ სპორტული სიარული.** ბ. ბოთერაშვილი (სამტრედია) — 49,44,4. **ბადროს ტყორცნა.** თ. ოდიშვილი — 39,60. **შუბის ტყორცნა.** რ. ბაირამოვი (ორივე — თბილისი) — 63,68. **ბირთვის კვრა.** თ. ნაცვალაძე (მახარაძე) — 13,98. **სიგრძეზე ხტომა.** ე. თათარაშვილი (თბილისი, პირადი) — 675. **სიმაღლეზე ხტომა.** გ. ტიტარჩუკი — 185, **სამხტომი.** ა. სხირტლაძე — 14,22. **ჭოკით ხტომა.** ვ. დროზდოვი (ყველა — თბილისი) — 380.

# ისევ უმაღლეს ლიგაში



დნეპროპეტროვსკი, 7 აპრილი. ადგილობრივი პეტროვსკის სახელობის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „სტალის“ და ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბის კალათბურთელ ქალთა გუნდები გაისად საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ. ეს საგზურები მათ „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების აქ მიმდინარე საკავშირო გათამაშების დასკვნითი ტურის უკვე პირველი ორი მატჩის შემდეგ მოიპოვეს. შეჯიბრების მასპინძლებმა ანგარიშით 68:53 სძლიეს მინსკის „ჰორიზონტს“, ხოლო უზბეკეთის წარმომადგენლებმა — კიშინიოვის „ინჟდორსტროის“ (53:39) და მეტოქეთათვის მიუწვდომელი აღმოჩნდნენ.

დნეპროპეტროვსკის გუნდი უმაღლეს ლიგას სამწლიანი „შესვენების“ შემდეგ დაუბრუნდა. თავისი კაპიტნას, სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიო ჩემპიონ რ. კურვიაკოვას მეთაურობით იგი უძლიერესი კვარტეტის ფინალურ მატჩებს დაუმარცხებლად შეუდგა. რაც შეეხებათ ტაშკენტელებს, ისინი მხოლოდ „სტალს“ ჩამორჩნენ.

# ფრენბურთელთა გვარდიის ღირსეული ცვლა

ერევანში ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე დღეს ლიდერებმა აქტივში თითო ქულა ჩაიწერეს. ერთნაირი ანგარიშით (3:0) ცსკა-მ მოუგო კიევის „ლოკომოტივს“, ხოლო ალმა-ათის „დოროჟნიკმა“ მოსკოვის „დინამოს“.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი (მოსკოვი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 3:0, „ავტომობილისტი“ (დნეპროპეტროვსკი) — „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) 1:3, „ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი) — ტექნოლოგიის ინსტიტუტი (ოდესა) 3:1, ასკ (დონის როსტოვი) — „რადიოტექნიკი“ (რიგა) 1:3.

კვირას კი მოსკოვის არმიელებმა შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე მოიპოვეს ჩემპიონის ოქროს მედლები. სახელგანთქმულ არმიელ ფრენბურთელთა გვარდიის ამჟამინდელი, მესამე თაობა წინაპართა კარგი ტრადიციის ღირსეული განმგრძობი აღმოჩნდა. არმიელებმა ზედიზედ მეხუთედ მოიპოვეს ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელწოდება (სულ კი ცსკა სსრ კავშირის ჩვიდმეტგზის ჩემპიონია). ამას გარდა, წლეულს მათ მეორედ ზედიზედ მოიპოვეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი (სულ კი ეს თასი ოთხჯერ დაისაკუთრეს).

1970 წლიდან დაწყებული, მოსკოველი არმიელები ყოველწლიურად მონაწილეობენ მეორე დიდ ტურნირში — მსოფლიოს უძლიერესი საკლუბო გუნდების თასის გათამაშებაში, რომელშიც გამოდიან გდრ-ის, იაპონიის, ბულგარეთის, რუმინეთის, ბრაზილიის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ფრენბურთელები. არმიელებმა ოთხჯერ გაიმარჯვეს ამ ტურნირში.

უნდა მოვიგონოთ, აგრეთვე, არმიელთა ორი გამარჯვება შარშან, ოლიმპიურ ჩემპიონებთან იაპონელებთან — 3:2 და 3:1. ასეთი „ნამსახურობის სიით“ მსოფლიოს ვერც ერთი საკლუბო გუნდი ვერ დაიკვეხნის.

— 1974 წლის საკავშირო ჩემპიონატი ჩვენთვის ძალიან რთული იყო, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ცსკა-ს უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ი. ჩესნოკოვმა. — ჩვენი მეტოქეები — ლენინგრადის „ავტომობილისტი“, „რადიოტექნიკი“, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, „დოროჟნიკი“ და „ზვეზდა“ ძლიერი გუნდები არიან, მაგრამ არც ერთი თამაში არ წაგვიგია. პირველ ყოვლისა ქებით უნდა მოვიხსენიოთ ი. სტარუნსკი და ვ. პუტიატოვი. შემდეგ ლ. ზაიკო, ვ. პატკინი, ვ. ბორშჩი, ე. ჩულაკი, ვ. კოვალიოვი, ა. პოლიშჩუკი. პირველად გამოვიდა ჩვენს კოლექტივში ვ. კონდრა, რომელიც კარგად შეეწყო გუნდს და მთელ რიგ ძნელ მატჩებში ამხანაგებს დიდი დახმარება გაუწია. პირველად გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები ვ. ნარუბინი, ა. დანილოვი, ვ. დოროხოვი. (საკდესი).

# „ისკრა“ ცხრილის სათავეშია

ფრენბურთელ ქალთა 36-ე საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითს ტურში, რომელიც 6 აპრილს მოსკოვში დაიწყო, ვოროშილოვგრადის „ისკრამ“ ანგარიშით 3:0 (16:14, 15:9, 16:14) მოუგო ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდს და 14 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. ოდესელ სტუდენტებს 13 ქულა აქვთ. მათ დაეწივნენ მოსკოვის „დინამო“ და ცსკა. დინამოელებმა მოუგეს ლენინგრადის „სპარტაკს“, ხოლო ცსკა-მ — კიევის „ბურევესტნიკს“ ერთნაირი ანგარიშით — 3:0. კვლავინდებურად ლიდერთა ხუთეულშია ბაქოს „ნეფთჩი“, რომელმაც აჯობა მოსკოვის „ლოკომოტივს“ — 3:0.

პირველი დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ურალოჩკა“ (სვერდლოვსკი) — „ავტომობილისტი“ (დონეცკი) 3:1, „ავტომობილისტი“ (ტაშკენტი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 3:2. (საკდესი).

# მდიდარი შთაბეჭდილებები

ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლამ მოაწყო მოსწავლეთა ექსკურსია მარშრუტით: ზესტაფონი — ჭიათურა — საჩხერე — სხვიტორი — სავანე — კაცხი — ზესტაფონი.

ექსკურსიის მონაწილეებმა დაათვალიერეს ჭიათურისა და საჩხერის ღირსშესანიშნაობები, ავიდნენ „მოდინახეს“ ციხეზე, ინახულეს აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი, სოფელ კაცხში ნახეს ბუნების საოცრება — კაცხის სვეტი. ბოლოს იქვე მოაწყვეს ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში ჭიათურის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეებთან.

ექსკურსიის მონაწილენი მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი, კმაყოფილი დაბრუნდნენ შინ.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.




ვ. ივანოვი

...ფეხბურთელი მოდის გუნდში, კვალიფიციური, ჩამოყალიბებული ფეხბურთელი. მოდის და თავის ადგილს იკავებს თავისნაირი დავაჟკაცებული, ნამდვილი ოსტატების გვერდით. ყველას ამოქმედებს ერთი და იგივე კეთილშობილური განზრახვა: გაუგონ ერთმანეთს და იპოვონ საერთო ენა. მაგრამ ერთი ასე თამაშსაა მიჩვეული, მეორე — ისე თამაშს. ერთი თავს ყველაზე უკეთ შეტევის ცენტრში გრძნობს, მაგრამ არც მეორეა მიჩვეული უკან დახევას და იქ ვიღაცეების მაგიერ ბურთების აკრეფას. ყველამ რაღაც მსხვერპლი უნდა გაიღოს, რაღაც დათმოს, როგორღაც გარდაიქმნას, მაგრამ ხშირად ამისგან არაფერი გამოდის. ეს განა იმიტომ ხდება, რომ ახალი პარტნიორები ჯიუტები არიან და არ სურთ ერთმანეთს ხელი შეუწყონ. არა, სურთ, მზად არიან ერთმანეთს დაეხმარონ, მაგრამ ამისთვის საჭიროა ხელახლა სწავლა, ახალი ჩვევების გამომუშავება, შეგნების გარდაქმნა. ეს კი რა ძნელია, რომ იცოდეთ!

თავად ფეხბურთელისთვის ასეთი გადასვლა-გადმოსვლები ზოგჯერ ნამდვილ დრამად იქცევა ხოლმე, რაც დაღს ასვამს მთელს მის შემდგომ ცხოვრებას. მეხსიერების დიდი დაძაბვა არ დაგვჭირდება, რათა გავიხსენოთ, როგორ გადავიდა კაზაკოვი ცსკა-ში, პორკუიანი — კიევის „დინამოში", გაჯიევი — მოსკოვის „დინამოში", პროსკურინი — მოსკოვის „სპარტაკში". კიდევ უამრავი ფეხბურთელი შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ საქმე მაგალითების რაოდენობაში როდია. ეს მოთამაშეები არ გაჩერდნენ ახალ გუნდებში, მაგრამ, როცა ისევ ძველ კოლექტივებს დაუბრუნდნენ, ველარ შეძლეს იქ თავისი ადგილისა და მდგომარეობის ხელახლა დაკავება.

რასაკვირველია, ხდება პირიქითაც. და კვლავ შეიძლება გავიხსენოთ უამრავი მაგალითი იმისა, თუ რა კარგად შეეთვისნენ მოთამაშეები ახალ გუნდებს. ვთქვათ, ჰუსაინოვი — იმავე „სპარტაკს", კუზნეცოვი და მამედოვი — „დინამოს", ხმელნიცკი — კიევის „დინამოს". მაგრამ ნეტავ თუ იცის ვინმემ, რა მტანჯველი იყო ყოველი მათგანისთვის ეს „შეთვისების" პროცესი! ან რომელი მწვრთნელი დადებს თავს, რომ ასეთი გადასვლით რაღაც ძალიან ძვირფასი არ აკლდება მოთამაშის ნიჭს, რომ ეს არ წყვეტს ან არ აძნელებს ფეხბურთელის ზრდას, როგორც ოსტატისას?

ეგ მე მკითხეთ, რას ნიშნავს გუნდიდან გუნდში გადასვლა და რა მოსდევს ამას.

ნუ გაგიკვირდებათ, რომ ამას ამბობს ფეხბურთელი, რომელიც მთელი ცხოვრება ერთი კლუბის ერთგული იყო. მე ბევრ სხვა ფეხბურთელზე ხშირად გადავდიოდი ერთი გუნდიდან მეორეში, გადავდიოდი რამდენიმეჯერ ერთი სეზონის განმავლობაში და ასე გრძელდებოდა ათ წელიწადზე მეტ ხანს. უბრალოდ, ყოველთვის უკან ვბრუნდებოდი. გადავდიოდი ნაკრებში და ვბრუნდებოდი მშობლიურ გუნდში — „ტორპედოში".

აი, რა ხდებოდა ნაკრებში ჩემი ყოველი მისვლის დროს.

მე ვხვდებოდი გუნდში, სადაც ყველა მოთამაშე ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო. ყველა მათგანი ჩვენს ფეხბურთში უპირველეს ვარსკვლავად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. რასაკვირველია, „ტორპედოში" ასეთ მეზობლობაზე ოცნებაც კი არ შემეძლო. და მე მათს გვერდით გაუბედავად ან სხვებზე ნაკლებად როდი ვგრძნობდი თავს. ნაკრებში თამაშისთვის უფრო ხშირად მაქებდნენ, ვიდრე მაგინებდნენ.

დიახ, უფრო ხშირად მაქებდნენ. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ არასდროს, არც ერთხელ ცხოვრებაში, რა იღბლიანი თამაშიც უნდა ყოფილიყო, რამდენი ბურთიც უნდა გამეტანა, ნაკრებში მთელი ძალით არ მითამაშია, მთელი ჩემი უნარი არ გამომიჩენია, მე კი კარგად ვიცოდი ჩემი შესაძლებლობების ამბავი, ზუსტი საზომი მქონდა — „ტორპედოში" თამაში.

რატომ ხდებოდა ასე? მე ხომ ნაკრებშიც და ჩემს გუნდშიც გარკვეულ დრომდე ინსაიდი ვიყავი და, კაცმა რომ თქვას, ერთსა და იმავე მოვალეობას ვასრულებდი — გამთამაშებლის მოვალეობას.

მაგრამ მე სპეციფიკური გამთამაშებელი გახლდით. ვთქვათ, 70-ანი წლების დამდეგის ნაკრებში ეს როლი განკუთვნილი იყო მუნტიანისთვის ან ფედოტოვისთვის. ერთიც და მეორეც სადისპეტჩერო საგუშაგოს სადღაც მინდვრის შუაგულში ირჩევენ, მონაკვეთზე, სადაც მეტოქეები ნაკლებად არიან. პარტნიორები იქ აწვდიან მათ ბურთებს, ხოლო ფედოტოვი და მუნტიანი ამ ბურთებს ფორვარდთა შორის ანაწილებენ. ფაქტიურად ასე იქცევა გამთამაშებელთა უმრავლესობა, და ეს გასაგებიცაა: დისპეტჩერისთვის ბურთის მართვა შედარებით თავისუფალ სივრცეში უფრო იოლია.

ჩემი საგუშაგო შუაგულ ბრძოლაში იყო — საჯარიმო მოედნის რაიონში. ეს უფრო ძნელია, უფრო სარისკო, აქ მეტი საფრთხეა ბურთის დაკარგვისა ან გადაცემისას შეცდომის დაშვებისა, ვინაიდან მეც და ჩემს პარტნიორებსაც ბევრი დარაჯი გვყავს და განსაკუთრებით მჭიდროდ გვიჭერენ. სამაგიეროდ, თუკი ჩანაფიქრის განხორციელება შეძლო, მეტოქის საქმე ცუდადაა: ის, ჩემი პარტნიორი, ვისაც ბურთს ვაწოდებ, ზედ კართან დგას. მეც იქვე ვარ, [illegible] თავადაც გავიტანო.

ერთი სიტყვით, მე ნამდვილი ინსაიდი კი არ ვიყავი, არამედ მეორე ცენტრალური თავდამსხმელი, გამთამაშებელიც ვიყავი და შეტევების დამგვირგვინებელიც, შემთხვევით როდი მასახელებდნენ ხოლმე თითქმის ყოველი სეზონის შემდეგ ყველაზე შედეგიან მოთამაშეთა რიცხვში.

ასეთ, მე ვიტყოდი, არა მთლად გამოკვეთილ ინსაიდს აქვს თავისი ღირსებები — მათზე მე უკვე ვილაპარაკე, მაგრამ...

იმ დროისთვის ინსაიდის მოქმედების ზონა არ შეიძლებოდა სხვისი საჯარიმო მოედნით შემოფარგლულიყო. ასე ვთქვათ, კლასიკურ შუამარბს ზურგისკენ უნდა დაეხია, დაცვას დახმარებოდა, შუა მინდორში რიცხობრივი უპირატესობა შეექმნა თავისი გუნდისთვის. თუ მე არ ვაკეთებდი ამას, ვინმე სხვა იყო იძულებული ჩემს მაგივრად გაეკეთებინა. ასეც ხდებოდა „ტორპედოში", მე სტრელცოვთან ან გუსაროვთან ერთად თავდასხმის წინა ხაზზე ვთამაშობდი, ხოლო მეორე ინსაიდი — ბატანოვი ან ფალინი, დაუღალავი ფეხბურთელები, დიდი დიაპაზონის მქონე მოთამაშეები — შუა მინდორში ჩემი სამუშაოს ნაწილს თავის თავზე იღებდა. ისინი ჩემს კაპრიზებს როდი ასრულებდნენ. ასეთი იყო „ტორპედოს" თამაშის ტაქტიკური ნახაზი. ეს ნახაზი თავისთავად არ შექმნილა, იგი შექმნეს მწვრთნელებმა მოთამაშეთა თვისებების გათვალისწინებით. ყველა იქ მუშაობდა, საიდანაც გუნდს ყველაზე მეტ სარგებლობას მოუტანდა.

მე ნაკრებშიც შუამარბი ვიყავი და ცენტრფორვარდის გვერდით ვთამაშობდი, სულ ერთია, სტრელცოვი იქნებოდა ის, სიმონიანი თუ პონედელნიკი. ცენტრის მეორე მხარეს კიდევ ერთი შუამარბი თამაშობდა. ისეთივე, როგორიც მე. ოღონდ შეიძლება მას სადისპეტჩერო მუშაობა იმდენად არ ევალებოდა. მაგრამ ეს არ იყვნენ ბატანოვი და ფალინი, რომლებიც შუა მინდორში ჩემი სამუშაოს ნაწილს თვითონ აკეთებდნენ. ნაკრებში ვალდებული ვიყავი ეს ტვირთი მე თვითონ მეზიდა, და ვზიდავდი კიდეც წინა ხაზზე თამაშის საზიანოდ, საზიანოდ იმისა, რაშიც განსაკუთრებით ძლიერი და, შესაძლოა, შეუცვლელიც ვიყავი.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას თითოეულ ჩვენგანზე, როცა შევადარებ მის ამპლუას კლუბსა და ნაკრებში. სხვა პარტნიორები — სხვა კავშირი. და როცა ერთმანეთს ვადარებდი ჩემს თამაშს „ტორპედოში" და ნაკრებში, მუდამ ვგრძნობდი, რომ ნაკრებში ჩემი უნარის სამოცდაათი პროცენტიც კი არ გამომიჩენია.

ესე იგი, — რა გამოდის, კარგად შეთამაშებული, სტაბილური შემადგენლობის საკლუბო გუნდი შეიძლება ნაკრებზე ძლიერი აღმოჩნდეს? დიახ, შეიძლება. შეიძლება კი არა, უნდა აღმოჩნდეს. ეს პრაქტიკითაა დადასტურებული. დარწმუნებული ვარ, 1960 წელს არ იყო და ვერც შეადგენდნენ ჩვენში გუნდს, რომელიც ძალით გაუტოლდებოდა „ტორპედოს", ისევე როგორც 60-ანი წლების მეორე ნახევარში — კიევის „დინამოს". ამიტომ ჩვენი ფეხბურთის დონეზე უნდა გვემსჯელა არა ნაკრების, არამედ ამ გუნდების მიხედვით.

მე საზღვარგარეთული ფეხბურთის დიდ მცოდნედ არ მომაქვს თავი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრ ქვეყანაში საკლუბო ფეხბურთის ლიდერები უფრო ძლიერი და საინტერესო კოლექტივები არიან, ვიდრე ნაკრები გუნდები, გავიხსენოთ თუნდაც პორტუგალიის „ბენფიკა", იტალიის „ინტერი", ესპანეთის „რეალი", ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი", ურუგვაის „პენიაროლი" თავიანთს საუკეთესო წლებში.

ჯამი შესაკრებთა რაოდენობის მიხედვით მხოლოდ არითმეტიკაში იზრდება. ფეხბურთში კი ჯამი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ერწყმიან ერთმანეთს შესაკრებები.

კლუბში ფეხბურთელის ნიჭი ყველაზე სრულად და ყოველმხრივ ვლინდება, კლუბში ამისთვის მეტი წინაპირობა არსებობს, ვიდრე ნაკრებში. და ისღა დამრჩენია ვინანო, რომ მე და ჩემს ამხანაგებს, იმ წლების „ტორპედოს" მოთამაშეებს, წილად არ გვხვდა ძალა გვეცადა საკლუბო გუნდებს შორის ევროპის თასის ერთ-ერთ გათამაშებაში. ითვლებოდეს მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლესი რანგის ტურნირად. ხოლო, მე თუ მკითხავთ, არ არსებობს შეჯიბრება, რომელიც უფრო ობიექტურად გამოხატავდეს ეროვნული ფეხბურთის ნამდვილ დონეს, ვიდრე კლუბების ასპარეზობა.

ზემოთქმული სულაც არ არის გადახვევა მწვრთნელებზე საუბრის თემიდან. საკლუბო გუნდი, რომლის შედგენასაც უკვე მომზადებული, ჩამოყალიბებული, მტკიცე და ურყევი ჩვევების მქონე ფეხბურთელებისგან ცდილობენ, ნაკრებს ენათესავება. საკლუბო გუნდსაც აქვს ნაკრების ნაკლოვანებები. აქაც ძალიან ძნელია მიაღწიო ყველა შემადგენელი ნაწილის ორგანულ ერთობას — მაგრამ მოკლებულია მის მთავარ უპირატესობას — საკლუბო გუნდში მწვრთნელის არჩევანი შეზღუდულია. ბესკოვი და მასლოვი ყოველთვის თანმიმდევრული არიან გუნდის დაკომპლექტების საკითხში, მე ისინი საკლუბო გუნდებისთვის იდეალურ მწვრთნელებად მიმაჩნია.

გუნდში მათ თან მოჰყავდათ ყველასთვის უცნობი ჭაბუკები და რამდენიმე წლის შემდეგ ამ ჭაბუკებს უკვე ყველა იცნობდა. მათ იცოდნენ მუშაობა ნედლ მასალასთან, რომელიც მუდამ იოლი დასამორჩილებელი არ გამოდგებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც უფრო პლასტიკური იყო, ყოველნაირად შეეძლო გარდაქმნა და მწვრთნელებიც ძერწავდნენ იმას, რაც უნდოდათ. ჭაბუკები „ტორპედოში" ერთიმეორის მიყოლებით დგებოდნენ თავიანთ ადგილებზე, როგორც აგურებს სვამს ბუდეში გამოცდილი კალატოზის ხელი.

თუ მასლოვი და ბესკოვი, ასე ვთქვათ, ორ სხვადასხვა პოლუსს ჰგვანან წმინდა ადამიანური თვისებებითაც, ცხოვრებისა და ქცევის მანერითაც, ფეხბურთისა და ფეხბურთელებისადმი დამოკიდებულებითაც, გ. დ. კაჩალინი მათს შორის ზუსტად შუაში დგას, მისი ხასიათის ყველა მახვილი კუთხე თითქოს აღზრდითა და ინტელიგენტურობითაა გამალამინებული. მასაც შეუძლია საათობით ილაპარაკოს უკვე განვლილ და მომავალ მატჩებზე — ცოდნა და მოსაზრებანი არ აკლია, მაგრამ იცის შემოფარგვლა მხოლოდ აუცილებელი სიტყვებით. ერთხელ და ორჯერ არ მიგვრძვია დაყვირების მიზეზი, [illegible] ნობას არასოდეს [illegible] და სულ ახალგაზრდებს [illegible] მხოლოდ თქვენობით მიმართავდა. კაჩალინს, ისევე როგორც ყველა უბრალო მოკვდავს, აქვს თავისი სიმპათიები და ანტიპათიები, მაგრამ იგი მათ არასოდეს ამჟღავნებდა და მუდამ ცდილობდა რაც შეიძლება ობიექტური ყოფილიყო.

მხატვრულ ლიტერატურაში და ჩვენს წარმოდგენაში არსებობს ინგლისელის ერთგვარი კლასიკური ტიპი. მას ახასიათებს თავდაჭერილობა, კორექტულობა, სულგრძელობა ადამიანურ სისუსტეთა მიმართ. მე სწორედ ასეთ კაცად მიმაჩნია კაჩალინი. ამ ადამიანს აქვს კიდევ ერთი წმინდა „ინგლისური" თვისება, რასაც მე „ზომიერ კონსერვატიზმს" ვუწოდებდი, იგი წლობით ერთგული რჩება თავისი ღმერთებისა და ვერავითარი მოდა ვერ შეძლებს გზიდან გადააცდინოს. შვეციის 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატით ფეხბურთში ახალი ერა დაიწყო, დავიწყებას მიეცა მეხუთე თავდამსხმელი და გაჩნდა მეოთხე მცველი. ეს რეფორმა მოედო მთელ მსოფლიო ფეხბურთს, საბჭოთას ჩათვლით. მან ვერ შეაღწია მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრებში, რომელსაც მაშინ კაჩალინი ხელმძღვანელობდა, ოთხი წლის შემდეგ ჩილიში მორიგ მსოფლიო პირველობაზე მან ჩაიყვანა გუნდი, რომელშიც ისევ იყო ხუთივე ფორვარდი — ორი განაპირა, ორი ინსაიდი და ცენტრი. ჩვენს მწვრთნელს არ სურდა ან შეიძლება არც შეეძლო გამოსთხოვებოდა სისტემას, რომელმაც მის გუნდს ოლიმპიადაში და ევროპის თასის გათამაშებაში გამარჯვება მოუტანა.

ჩილის შემდეგ კაჩალინი დიდი ხნით გამოეთხოვა ნაკრების ხელმძღვანელის პოსტს. იგი ამ გუნდში უფროს მწვრთნელად დაბრუნდა მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, მექსიკის ჩემპიონატის წინ. ჩილისა და მეხიკოს შორის კი ლონდონი იყო. ჯერ კიდევ აქ დაიწყო ფეხბურთმა თავისი ახალი ხარისხობრივი ნახტომი. მექსიკაში კი ყველა საუკეთესო გუნდში ვხედავდით მოთამაშეებს, რომელთა ამპლუას დადგენა ძალიან ძნელი იყო, თუ უწინდელი, ჩვეული საზომებით ვიხელმძღვანელებდით. ჩვენ ვიხილეთ წინ მიმავალი დაცვის ბურჯები მური და შნელინგერი, გავიცანით განაპირა მცველები კარლოს ალბერტო და კუპერი, რომლებიც შეტევებს აგვირგვინებდნენ. ჩვენ, ასე ვთქვათ, ხელახლა აღმოვაჩინეთ პელე და ზეელერი, რომლებიც თავიანთ კარამდე ბრუნდებოდნენ. მაგრამ რა იყო ჩარლტონისა და ბეკენბაუერის, რივერინოსა და მაცოლას ამპლუა? ვინ იყვნენ ისინი — ნახევარმცველები თუ ნახევართავდამსხმელები? განაპირები თუ ცენტრალურები?

ცოტად თუ ბევრად ცვლილებათა ტალღა ჩვენს ფეხბურთსაც შეეხო. ჩვენშიც, თუმცა საკმაოდ გაუბედავად, ზოგიერთ გუნდში დაიწყო განხორციელება პრინციპისა: თავდასხმაც და დაცვაც საერთო საქმეა, შეტევაც და თავდაცვაც უფრო დიდი ძალებითაა საჭირო. მაგრამ მექსიკაში ყოველი ნაკრების ყველა მოთამაშე მხოლოდ თავისი როლით იყო დაკავებული, ასე ვთქვათ, იცოდა თავისი სამოქმედო არე და სხვის საქმეში არ ერეოდა. თავდამსხმელები თავს ესხმოდნენ, მცველები იცავდნენ, ნახევარმცველები შუა მინდვრისთვის იბრძოდნენ და მცველებს ეხმარებოდნენ.

ჩვენი ნაკრები საფუძვლიანი, სოლიდური გუნდი ჩანდა, მეოთხედფინალშიც გაიკაფა გზა, მაგრამ არც აპლოდისმენტები დაუმსახურებია, არც პოპულარობა.

ესე იგი, რა გამოდის: საკუთარი თავისადმი ერთგულება ნაკლია? ნუ იჩქარებთ დასკვნების გამოტანას. ამ ოცი წლის განმავლობაში, რაც ჩვენი ფეხბურთი აქტიურად გამოდის მსოფლიო სარბიელზე, მან ბევრჯერ განიცადა მერყეობა, ხშირადვარდებოდა ერთი უკიდურესობიდან მეორეში. და მწვრთნელთა დიდმა უმრავლესობამ; ყველაზე ბრძენი და გამოცდილი მწვრთნელების ჩათვლით, ჯეროვნად დააფასა ევროპული წოდებული ძალისმიერი ფეხბურთი. ნაკრების თითქმის ყველა შემადგენლობაში ვხედავდით მოთამაშეებს, რომლებსაც ტექნიკისა და მინდორზე აზროვნების უნარის მაგივრობას მაგარი კუნთები და მძლავრი ფილტვები უწევდათ, რომლებსაც არ შესწევდათ მეტოქეებზე უკეთესად თამაშის ძალა, მაგრამ ყოველთვის შეეძლოთ მათზე მეტი ერბინათ. მხოლოდ „კონსერვატული" კაჩალინი არ აჰყოლია ამ ტალღას. იგი თუმცა გარეგნულად არ იმჩნევდა რომელი ფეხბურთელი მოსწონდა და რომელი არა, მაგრამ მისი მისწრაფებანი ისედაც ნათელი იყო: ნაკრების შედგენისას იგი უპირატესობას ყოველთვის ჭკვიან და ტექნიკურ მოთამაშეებს ანიჭებდა.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება, იხ. „ლელო" №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66.

## ფეხბურთი



სსრ კავშირის თასზე

### კიდევ ორი შეხვედრა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩების შედეგები.

6 აპრილს შედგა კიდევ ორი შეხვედრა, რომელთა შედეგები არ გვქონდა მიღებული. ალმა-ათის „ქაირათმა" თავის მინდორზე წააგო ვოროშილოვგრადის „ზარიასთან" — 2:3. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულთაგან ამ მატჩში 2 ბურთი გაიტანა ელისეევმა, ხოლო „ქაირათის" მხრივ ორივე — გუნდის ახალბედა მარტიანმა.

დნეპროპეტროვსკში ადგილობრივმა „დნეპრმა" მოუგო ცსკა-ს — 1:0.

მერვედფინალის განმეორებითი შეხვედრები გაიმართება 27 მაისს.

### სანდრო დაეწია... მამას

მილანის „ინტერის" ცნობილმა ფეხბურთელმა სანდრო მაცოლამ ამ დღეებში 109-ე ბურთი გაიტანა იტალიის ჩემპიონატების ისტორიაში და ამით დაეწია... საკუთარ მამას, 1949 წელს ალპებში თვითმფრინავის კატასტროფის დროს დაღუპულ ვალენტინო მაცოლას.

ცხადია, სანდრო იტალიელ სნაიპერთა მუდმივ სიაში მალე მამაზე მაღლა დადგება, ჩინებულადაც თამაშობს, მაგრამ, მიმომხილველების აზრით ვალენტინო მაინც უკეთესი იყო.

### იასალდე—41

ნელეულს „ოქროს ბუცი", ეტყობა, ლისაბონის „სპორტინგის" ცენტრალურ თავდამსხმელს იასალდეს დარჩება. პორტუგალიის ჩემპიონატი ჯერ არ დამთავრებულა. მან კი უკვე 41 ბურთი გაიტანა და მოხსნა ეუსებიოს შარშანდელი რეკორდი — 40 გოლი.

სხვა ქვეყნების თავდამსხმელებს აშკარად უარესი შედეგები აქვთ.

### ფინალში პოლონელი იუნიორები გავიდნენ

ვარშავა, 7 აპრილი. პოლონეთის იუნიორმა ფეხბურთელებმა ბოლო შესარჩევ მატჩში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს სსრ კავშირის ნაკრები და უეფა-ს ტურნირის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მათ გაიმარჯვეს XII ჯგუფში და მაისის დამლევს შვეციაში საპატიო პრიზისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან.

მოსკოვი. სპეციალიზებული საერთაშორისო გამოფენა „სპორტული იარაღი-74“. გამოფენაში მონაწილეობენ ავსტრიის, ბელგიის, იტალიის, აშშ-ს, საფრანგეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის ფირმები, აგრეთვე, მასპინძელი ქვეყანა — სსრ კავშირი.

ს უ რ ა თ ზ ე: ამერიკის შეერთებული შტატების პავილიონში გამოფენის სტუმრები ათვალიერებენ სპორტულ მშვილდებს.

კ. იანკოვის ფოტო (საქდესი).


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლიეპაიას გაემგზავრებიან

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა „დინამოს“ მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური პირველობა. გთავაზობთ შეჯიბრების შედეგებს: ვ. სემიონოვი — 9,5 ქულა, გ. გამრეკელი — 8,5 (ორივე — თბილისი), ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — 8, ვ. დავითაშვილი — 7,5, მ. ძნელაძე (ორივე — თბილისი), ა. ტუზოვსკი (სოხუმი), — 7-7, ციური კობაიძე — 6,5, ვ. ურიდია — 6, ვ. პაპიაშვილი, ი. გოგეშვილი — 5,5-5,5, ა. დგებუაძე (ყველა — თბილისი), ვ. მარტიროსიანი (სოხუმი) — 3-3, რ. კარტაშიანი (თბილისი) — 1.

სემიონოვი შესანიშნავად თამაშობდა დასკვნითს ორ ტურში. მან სძლია მარტიროსიანსა და პაპიაშვილს. გამრეკელმა მოუგო კარტაშიანს და დაუზავდა ნეურონოვს. ეს საკმარისი იყო II ადგილისთვის, რადგან წინადღით ნეურონოვი ძნელაძესთან დამარცხდა.

ამრიგად, სემიონოვი, გამრეკელი და ნეურონოვი პერსონალურად მიწვეულ ოსტატ ტუზოვსკისთან ერთად მაისში მონაწილეობას მიიღებენ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნახევარფინალურ ტურნირში, რომელიც ლიეპაიაში (ლატვია) გაიმართება.

## ფოთელ ჭაბუკთა წარმატება

ეს იყო საერთაშორისო შაშში საქართველოს ჭაბუკთა I ჩემპიონატი. შეჯიბრებამ უშეღავათო ჭიდილში განვლო და გუშინწინ დამთავრდა.

ჩემპიონის სახელი მ. ცანავამ (ფოთი) მოიპოვა — 11,5 ქულა 13-დან. II ადგილზეა სოხუმელი ს. მალოვიკი — 10,5, III — რ. ფატიანი (თბილისი) — 9,5. შემდეგ მოდიან: თ. ნაჭყებია, ა. ყანჩაველი (ორივე ფოთი) — 8,5-8,5, ა. ფლიევი (ცხინვალი), გ. მუშკუდიანი (ქუთაისი) — 6,5-6,5, ვ. ფრეიმანი (სოხუმი), მ. მიკირტუმიანი (თბილისი) — 5,5-5,5, თ. კუპრაშვილი (ქუთაისი) — 5, კ. კირაკოსიანი (თბილისი) — 4,5, ხ. თავართქილაძე (ხულო) — 4, რ. ქერდიკაშვილი (კასპი) — 3,5, ვ. კანდელაკი (თბილისი) — 1,5.

ის, რომ სამმა ფოთელმა მოშაშემ თვალსაჩინო წარმატება მოიხვეჭა, მათი აღმზრდელის — ცნობილი მწვრთნელის ა. ფეიდერის დამსახურებაცაა. ფოთელმა მწვრთნელმა ბევრ ახალგაზრდას შეაყვარა შაში, მათ შორის შაშის პირველ ქართველ ოსტატებს, ძმებს თენგიზ და თამაზ ბარამიძეებს.

სამაგიეროდ, ბათუმიდან შეჯიბრებაზე არავინ ჩამოვიდა. ხულოელი თავართქილაძე ტურნირში პირადი თაოსნობით მონაწილეობდა.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა მოშაშეები გვეზრდებიან. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტურნირის მონაწილეთა უმრავლესობა წარჩინებით სწავლობს სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში.

განსაკუთრებით გვსურს გამოვყოთ თბილისის 43-ე საშუალო სკოლის IV კლასის მოსწავლე კანდელაკი. 10 წლის ბიჭუნა პირველად ხვდებოდა გამოცდილ მეტოქეებს, მაგრამ ტოლი არავის დაუდო. მისმა გამბედაობამ და მიზანსწრაფვამ მეტოქეთა მოწონებაც დაიმსახურა.

**გ. ტალახაძე,**
**ჩემპიონატის მთავარი მსაჯი.**

## სათხილამურო სპორტი

**კიცბიუელი** (ავსტრია). აქ გაიმართა 72-კილომეტრიანი სათხილამურო მარათონი, რომელშიც 15 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ყველას აჯობა ნორვეგიელმა ი. ედვარდსენმა — 4:50. 39,4.

**სანდრიო** (იტალია). სამთო სათხილამურო სპორტში ევროპის თასისთვის მებრძოლმა ქალებმა აქ მორიგი ეტაპის შეჯიბრება გამართეს სპეციალურ სლალომში. ყველას აჯობა ო. შალვინმა (საფრანგეთი). II ადგილზე გავიდა ვ. გატანა (იტალია), III — ე. მათუსი (სან-მარინო). ამ გამარჯვებით შალვინმა საერთო ჩათვლაში IV ადგილზე გადაინაცვლა. თასის გათამაშებას ლიდერობს მათუსი — 186 ქულა. II ადგილზეა კ. პუიგი (ესპანეთი) — 154, III — ა. ვიუე-გროსი (საფრანგეთი) — 131. ვაჟთა შორის წინაა ავსტრიელი უ. დორინგი — 138 ქულა. მის თანაგუნდელ ი. ლოიზლს 129 ქულა აქვს. III ადგილზეა ჯ. კორანდი (იტალია) — 128.

## წყალში ხტომა

**რენი** (საფრანგეთი). აქ გამართული საერთაშორისო შეჯიბრება კოშკიდან ხტომაში მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა კ. დიბიასმა (იტალია) — 564 ქულა. ე. ტრაუე — (გდრ) მას 51 ქულით ჩამორჩა. ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში იმარჯვა კ. კიოლერმა (გდრ) — 477,63 ქულა. ოლიმპიური ჩემპიონი უ. კნაპე (შვეცია) მას 0,33 ქულით ჩამორჩა.

## მძლეოსნობა

**დალასი.** შვედმა სპრინტერმა კ. გარპენბორგმა 100 იარდზე რბენაში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 9,1. მაგრამ ეს მაჩვენებელი რეკორდების ცხრილში არ შევა, ვინაიდან იმ დროს ზურგქარი წამში 3 მეტრი სისწრაფით ქროდა.

**სან-დომინგო.** კარიბის თამაშების პროგრამით გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში ყველას კუბელებმა აჯობეს. სამხტომში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა ა. პერეს-დუენამ ამჯერად 17,01 მ აჩვენა. ა. ჟუანტორენ 400 მ 45,52 წამში გაირბინა.

## სხვადასხვა

**სპორტულ** კომენტატორთა რიგებს ორი კაცი შეემატა: ამიერიდან ფიგურული ციგურაობის ოსტატთა ჩემპიონატებს ტელევიზიით კომენტარებს გაუკეთებენ ცნობილი ავსტრიელი ფიგურისტი ე. დანცერი და მისი ინგლისელი კოლეგა ჰ. ოუნდიანი.

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### ინგლისი

გასულ შაბათს გათამაშების ლიდერმა „ლიდს იუნაიტედმა“ შინ მისთვის უაღრესად მნიშვნელოვან და რთულ შეხვედრაში „დერბი ქაუნთისთან“ გაიმარჯვა (2.0) და ჩემპიონის ტიტულისთვის განაგრძობს ბრძოლას. გოლები გაიტანეს ლორიმერმა და ბრემნერმა.

შარშანდელმა ჩემპიონმა და ლიდსელთა ერთადერთმა კონკურენტმა „ლივერპულმა“ ასევე შინ სძლია ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ — 2:1.

„იფსვიჩ თაუნმა“ სტუმრად აჯობა „მანჩესტერ სიტის“ — 3:1. „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“ და ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1. „მანჩესტერ იუნაიტედმა“, რომელიც კიდევ იმედოვნებს I ლიგაში დარჩენას, სტუმრად მოუგო „ნორვიჩ სიტის“ (2:0) და ახლა ბოლოდან მეორე (XXI) ადგილზეა. „ნორვიჩ სიტი“ ბოლო ადგილზეა.

მეორე ლიგაში კი ძმები ჩარლტონები სენსაციებს ახდენენ — ჯეკ ჩარლტონის გუნდმა „მიდლსბრომ“, როგორც ვიტყობინებოდით, I ადგილი დაიკავა, ხოლო „პრესტონ ნორთ ენდი“, რომელსაც ბობი ჩარლტონი წვრთნის, გაისად უკვე III ლიგაში ითამაშებს. ორივე ძმამ მიმდინარე სეზონში ჩაიბარა II ლიგის გუნდები და გაისად არც ერთი იქნება II ლიგაში, არც მეორე.

ლიდერთა სამეული ასეთია:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ლიდს იუნაიტედი“ | 37 | 60:29 | 54 |
| „ლივერპული“ | 34 | 43:24 | 50 |
| „დერბი ქაუნთი“ | 37 | 45:35 | 42 |

### შოტლანდია

შაბათს გლაზგოს „სელტიკმა“ შინ დალგლიშის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია „არბროთს“ — 1:0. „გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად მოუგო „მადერუელს“ — 4:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 27 | 70:24 | 43 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 27 | 51:26 | 37 |
| „ჰიბერნიენი“ | 25 | 55:34 | 35 |

### გფრ

მიუნჰენის „ბაიერნმა“ სტუმრად მოუგო „დუისბურგს“ — 4.0. მენჰენგლადბახის „ბორუსიამ“ სტუმრად აჯობა „კაიზერსლაუტერნს“ — 4:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი“ | 28 | 83:46 | 41 |
| „ბორუსია“ | 28 | 73:47 | 39 |
| „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) | 28 | 57:43 | 35 |

### ჰოლანდია

როგორც ვიუწყებოდით, დევენტერში ადგილობრივმა „გოუ ეჰედმა“ ფრედ ითამაშა ამსტერდამის „აიაქსთან“ — 2:2.

როტერდამის „ფეიენოორდმა“ სტუმრად მოუგო (2.0) „ჰააგას“, ხოლო ენსხედეს „ტვენტემ“ ასევე სტუმრად აჯობა „გრონინგენს“ — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი“ | 28 | 75:25 | 46 |
| „ტვენტე“ | 28 | 50:16 | 46 |
| „აიაქსი“ | 28 | 80:25 | 45 |

### ესპანეთი

ახალმა ჩემპიონმა „ბარსელონამ“ შინ სძლია „რეალ სარაგოსას“ — 2:0. შარშანდელმა ჩემპიონმა, მადრიდის „ატლეტიკომ“ ასევე თავის მინდორზე მოუგო „გრანადას“ — 2:1. „ლას-პალმასმა“ აჯობა მადრიდის „რეალს“ — 1:0.

„ბარსელონას“ 43 ქულა აქვს, ხოლო მადრიდის „ატლეტიკოს“ — 34.

## ევროპის ფეხბურთის ამბები

### შვეიცარია

„ციურიხმა“ სტუმრად სძლია ჟენევის „შენუას“ — 2:0. „სიონმა“ შინ მოუგო „ნევშატელ ქსამაქსს“ — 3:0. ბერნის „იანგ ბოისმა“ და „ლოზან სპორტმა“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ციურიხი“ | 17 | 34:13 | 29 |
| „ნევშატელ ქსამაქსი“ | 16 | 32:17 | 21 |
| „ლოზან სპორტი“ | 16 | 33:23 | 21 |

### პოლონეთი

ხოჟუვის „რუხმა“ შინ მოუგო შჩეცინის „პოგონს“ — 5:0. ბიტომში ადგილობრივმა „პოლონიამ“ და კრაკოვის „ვისლამ“ ფრედ ითამაშეს — 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი“ | 18 | 38:11 | 30 |
| „ვისლა“ | 19 | 25:14 | 25 |
| „გურნიკი“ | 19 | 29:16 | 24 |

(საქ. ინფ.).

## შემადგენლობა პატარა განმარტებით

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით მსოფლიო ჩემპიონატის წინ ბრაზილიელთა პირველი საერთაშორისო მატჩის შესახებ.

ამ შეხვედრას რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე 85 ათასი მაყურებელი დაესწრო. მსოფლიო ჩემპიონები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ლეაო, ლუის პერეირა, ალფრედო, ზე მარია, კარბონე (ლეივინია), მარკო ანტონიო, ჟაირზინიო, პაულო ცეზარი, მირანდინია (ენეასი), ადემირ და გუია, რიველინო.

ეს შემადგენლობა პატარა განმარტებას მოითხოვს. მოთამაშეთა ნომრები ყოველთვის არ ემთხვევა მათს სათამაშო ფუნქციებს. ზე მარია და მარკო ანტონიო, როგორც მუდამ, განაპირა მცველებად თამაშობდნენ, ლუის პერეირა და ალფრედო — ცენტრალურ მცველებად. თავდაპირველად გუნდს ჰყავდა 4 ნახევარმცველი — კარბონე, პაულო ცეზარი, ადემირ და გუია, რიველინო, ხოლო წინ თამაშობდნენ ჟაირზინიო და მირანდინია, შემდეგ ბრძოლაში ჩაება კიდევ 2 თავდამსხმელი.

## ახალი ამბები-74

● ოპოლი (პოლონეთი) 6 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ხელბურთელ ქალთა შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ თასის შარშანდელი მფლობელი — კიევის „სპარტაკი“ და გდრ-ის „ლაიპციგი“. ანგარიშით 12:10 გაიმარჯვეს გერმანელმა სპორტსმენებმა და ეს საპატიო ჯილდოც მოიხვეჭეს.

● ბერნი, 6 აპრილი. დაშნით ფარიკაობაში მსოფლიო თასის გათამაშების აქ გამართული მატჩი ტაუბერბიშოფსჰაიმის კლუბისა (გფრ) და ბუდაპეშტის მტკ-ს წარმომადგენელთა შორის გერმანელთა გამარჯვებით დამთავრდა. მაგრამ პირად ჩათვლაში ყველას აჯობა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა დ. კულჩარმა (უნგრეთი).

● კანდალაქშა, 7 აპრილი. 29 წლის ი. გარანინმა (რუდნი) ბრწყინვალედ დააგვირგვინა სათხილამურო სეზონი — ყველას აჯობა აქ გამართულ ზემარათონში. 70 კილომეტრი გამარჯვებულმა 4 საათში, 15 წუთსა და 52 წამში დაფარა. გარანინმა სსრ კავშირის ჩემპიონის ბოლო ოქროს მედალი მოიხვეჭა 1974 წლის სათხილამურო რბოლებში. II ადგილი დაიკავა ფ. სიმაშოვმა (4.15.55), ხოლო III — ვ. პოპოვმა (4.17.51). შეჯიბრებაში ქვეყნის 118 საუკეთესო მოთხილამურე სტაიერი მონაწილეობდა.

## გასწორება

„ლელოს“ 6 აპრილის ნომრის მე-4 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში კორექტორის მიზეზით გაიპარა შეცდომა. იუგოსლავიელი კალათბურთელის კაპიჩიჩის სიმაღლე 198 სანტიმეტრია და არა 148, როგორც გაზეთში ეწერა.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

02543